ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 27-54

30 ივნისი
"___" _____ 2023 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-103 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 05/10/2020, სარეგისტრაციო კოდი: 400020010.35.101.016782) და დადგენილების დანართ №1-ის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,დ[1]" ქვეპუნქტი:

დ[1]) ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპროექტო არეალი შესაძლოა მოიცავდეს მეორე სარტყელსა და მესამე სარტყლის II არეალში შემავალ მიწის ნაკვეთებსაც. ამ შემთხვევაში, მესამე სარტყლის I არეალში შემავალი საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება უნდა განხორციელდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო, მეორე სარტყელი და მესამე სარტყლის II არეალი უნდა მოიცავდეს მხოლოდ სარეკრეაციო სივრცეებს.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე